სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/257

ქ. თბილისი 24 10 2019 წ.

სტუ-ში 2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პირველად საფეხურზე ჩარიცხვის მიზნით ტესტირების ჩატარების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების, ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი/შემდგომი საფეხურის შესაბამისი თითოეული აქტივობის პრაქტიკული მოსინჯვისას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა შეფასების ფორმის განსაზღვრის შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 04 ოქტომბრის №870 ბრძანების, ,,2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირების განრიგის განსაზღვრისა და ტესტირების მაქსიმალური ხანგრძლივობის დადგენის თაობაზე'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 23 ოქტომბრის №1308 ბრძანების, ,,2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა საგამოცდო ცენტრებში განაწილების მიზნით, იმ დაწესებულებათა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომელშიც განთავსდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის საგამოცდო ცენტრები და დარეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების საგამოცდო ცენტრებში განაწილების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

სპორტის მინისტრის 2019 წლის 23 ოქტომბრის №1306 ბრძანებისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სტუ-ში 2019 წლის შემოდგომაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისათვის პროფესიული ტესტირების კომისიის შემადგენლობა (იხ. დანართი);
2. სტუ-ში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისათვის ტესტირება ჩატარდეს 2019 წლის 25 ოქტომბერს 10:00 საათიდან 15:00 საათამდე (მის.: თბილისი, მ. კოსტავას 68, სტუ-ის I კორპუსი, კომპიუტერული ცენტრი, პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის დეპარტამენტი);
3. ტესტირება ჩატარდეს აპლიკანტების მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხურის შესაბამისი თითოეული აქტივობის პრაქტიკული მოსინჯვის გზით;
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს თ. წერეთელს;
5. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი

არჩილ ფრანგიშვილი

დანართი

სტუ-ში 2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის პროფესიული ტესტირების კომისიის შემადგენლობა

1. ეკატერინე ნარეშელაშვილი - სწავლების დეპარტამენტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);
2. თამარ კობერიძე - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი (კომისიის წევრი);
3. თამუნა მახარაშვილი - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი (კომისიის წევრი);
4. ლია ლურსმანაშვილი - „სამკერვალო წარმოების" პროგრამის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);
5. თეა ბარამაშვილი - „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა" პედაგოგი (კომისიის წევრი);
6. თამარ ქამხაძე - „საოფისე საქმის" პროგრამის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი).